საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6336/01
07/07/2020

6336-01-2-202007071416

შპს „იმგეს“
მის: *ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის II შესახვევი N2ა*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 29 ივნისის N9683 წერილი, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, შპს „იმგეს“ წყალში ხსნადი საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი shp ფაილებით, GPS კოორდინატებით და საკადასტრო კოდით წარმოდგენილი მონაცემები საპროექტო ტერიტორიის შესახებ არ ემთხვევა სიტუაციურ რუკაზე ასახულ მონაცემებს, შესაბამისად კორექტირებას საჭიროებს სიტუაციური რუკა და საწარმოს გენ-გეგმა. აღნიშნული ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანდართულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტში (ზდგ);
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში, გვ. 102-ზე წარმოდგენილი დასახლებული პუნქტის GPS კოორდინატები ემთხვევა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 05.32.08.118), რომელზეც შენობა-ნაგებობა არ არის განთავსებული. შესაბამისად, აღნიშნული კოორდინატები საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია 500 მ რადიუსის საზღვრებში არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოს და წარმოების შესახებ, მანძილების მითითებით;
- ანგარიშში არ არის წარმოდგენილი წარმოებაში გამოსაყენებელი ნედლეულის დაზუსტებული ლათინური და ქართული სახელწოდებები, ასევე მათი მახასიათებლები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს **საწარმოო ჩამდინარე წყლების** ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვებასთან დაკავშირებით კანალიზაციის მფლობელთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის დახასიათების თავში 2.8 (გვ. 36) მითითებულია, რომ „შპს „გზების“ ტერიტორიის ფარგლებში, მისი მნიშვნელოვანი ანთროპოგენული დატვირთვის გამო, რაიმე არქეოლოგიური მასალების არსებობა ნაკლებ სავარაუდოა“. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას;

- გზშ-ის ანგარიშში, ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზში (გვ. 38) მითითებულია, რომ „საწარმოო ტერიტორია მდებარეობს ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში, რომლის ტერიტორიაზე განთავსებულია ანალოგიური ტიპის სამშენებლო მასალების წარმოების საამქროები, კერძოდ: სასაქონლო ბეტონის წარმოების, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი, ბლოკის წარმოების საამქროები, ასფალტის ქარხნები და სხვა“. აღნიშნული ინფორმაცია გადმოტანილია შპს „ბეთლემი 2011“-ის ცემენტის წარმოების საამქროს სკოპინგის ანგარიშიდან და შესაბამისად საჭიროებს კორექტირებას. აღნიშნული ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანდართულ ზდგ-ის ნორმების პროექტში (გვ.12);
- ანგარიშის 2.10.1 თავში (გვ.46) აღნიშნულია, რომ „ხმაურის დონე საწარმოდან ხმაურის უმთავრესი წყაროდან, წისქვილებიდან, საიდანაც უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 15 მეტრით, ნორმაზე ნაკლებია“. ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე, საწარმოში წისქვილების გამოყენება არ არის დაგეგმილი. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს თანდართულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტში (გვ. 12);
- დაზუსტებას საჭიროებს წარმოებაში გამოყენებული თხევადი ნედლეულის შემოტანისა და მართვის საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ გამწოვი ვენტილაციის სიმძლავრე, თუმცა, არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია სავენტილაციო სისტემის სხვა პარამეტრების შესახებ.
- გზშ-ის ანგარიშში, 4.4 თავში, „ნიადაგების და გრუნტის ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება და ნიადაგის დაბინძურების ფაქტორი“ (გვ. 60) აღნიშნულია, რომ საქმიანობის სპეციფიკის გამო, ნიადაგის ძირითად დამაბინძურებელ ფაქტორს წარმოადგენს: შლამის და კუდების მართვის წესების დარღვევა და ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კუდების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 62) აღნიშნულია, რომ საწარმოს მშენებლობისას ადგილი ექნება მანქანა-დანადგარების ხმაურს, რაც დააფრთხობს მიმდებარედ მობინადრე ცხოველთა სახეობებს. ვინაიდან, საწარმო უკვე მოწყობილია არსებულ შენობაში და პროექტის ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები არ იგეგმება, შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშშის მე-5 თავში (გვ. 65), აღნიშნულია, რომ ავარიის აღმომჩენი პირი „გამორთავს ან კეტავს ტერიტორიაზე განლაგებულ ტუმბოებსა და მოწყობილობების სარქველებს, ძრავებს“. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წარმოებაში გამოიყენება მხოლოდ მიქსერი. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში, მე-7 თავში (გვ. 76) აღნიშნულია, რომ „ხანძარქრობა გათვალისწინებულია მობილური სახანძრო საშუალებებით, რისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება სახანძრო ჰიდრანტები საწარმოს ტერიტორიაზე და წრიული მისასვლელი ავტოგზა“. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია აღნიშნული წრიული მისასვლელი ავტოგზის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საქმიანობის დაწყებისთვის მშენებლობა არ არის დაგეგმილი, რადგან ის მთლიანად განთავსებული იქნება არსებულ შენობაში. თუმცა, ნარჩენების მართვის პროცესის აღწერაში (გვ. 81) განხილულია

სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები;

- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების და შენიშვნების შესახებ მე-4 დანართში აღნიშნულია, რომ საჯარო განხილვის პერიოდში პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პროექტზე სკოპინგის ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „იმგე“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას, ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე